ონის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის

ო ქ მ ი N 02

ქ. ონი 13 ნოემბერი 2025 წელი

2025 წლის 13 ნოემბერს მოხდა ონის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის და 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის წარდგენა. სხდომას თავმჯდომარეობდა დავით ლობჟანიძე - ონის მუნიციპალიტეტის მერი - სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ სამუშაო ჯგუფის წევრები:

- დავით ლობჟანიძე - სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე, მუნიციპალიტეტის მერი;
- ლევან შერაზადიშვილი - მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე.
- თინათინ ბროლაშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის კორდინატორი;
- ვალერიან გობეჯიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- თეიმურაზი გრძელიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ეკონომიკის სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- გივი ბენდიანიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- მარინე მაისურაძე - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- მანანა ჩაგელიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- დავით ჩიხრაძე - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აუდიტის სამსახურის უფროსი;
- მარიამი გობეჯიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიული სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- ელენე ჩიკვილაძე - სპეციალისტი გენდერული თანასწორობის საკითხებში, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- ბაჩანა მარკოიშვილი - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- პაატა მაისურაძე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- გიორგი მარკოიშვილი - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- ვასილ მეტრეველი - მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე, სამუშაო ჯგუფის წევრი;

- სერგო ლობჯანიძე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- ლევან ორდინიძე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- გიორგი მელაშვილი - მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- მამუკა ყავლაშვილი - მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- ვლადიმერ ბერელიძე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- ნინო მეტრეველი - მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის, საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვის განყოფილების უფროსი, სამუშაო ჯგუფის მდივანი;
- სოფიო გუგეშაშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტის დაგეგმვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- პაატა ხარაიშვილი - მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ქ. ონის ადმინისტრაციულ ერთეულში, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- ზაზა ჭელიძე - ა(ა)იპ „ონის მუნიციპალიტეტის ტურიზმის კლასტერი“-ს მენეჯერი, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- ნინო მეტრეველი - ონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- ნაზიბროლა გავაშელი - ა(ა)იპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო ორგანიზაცია“-ს წარმომადგენელი, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- დალი რაზმაძე - ონის სიმონ სხირტლაძის სახელობის საჯარო სკოლის დირექტორი, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- ქეთევან ხომასურიძე- ბიზნესის წარმომადგენელი, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

დღის წესრიგი:

1. ონის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის და 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის წარდგენა.

მომხსენებელი - თინათინ ბროლაშვილი

მოისმინეს:

სხდომა გახსნა მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, თინათინ ბროლაშვილმა, რომელმაც ისაუბრა 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტში თითოეულ პრიორიტეტზე განსაზღვრული პროგრამების, ქვეპროგრამების და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ, ასევე წარდგენილი იქნა 2026 წლის ბიუჯეტი.

ქ-ნ თინათინ ბროლაშვილმა აღნიშნა, რომ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ, მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტში და 2026 წლის ბიუჯეტში

გათვალისწინებული იქნა ფინანსთა სამინისტროდან მოწოდებული საბიუჯეტო პარამეტრები, ასევე მერიის სამსახურებიდან და ა(ა)იპ ორგანიზაციებიდან მოწოდებული პროექტები.

სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა გივი ბენდიანიშვილმა დეტალურად ისაუბრა ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ, რომლებიც დაიგეგმა მომავალი ოთხი წლის განმავლობაში.

საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე ვასილ მეტრეველმა ისაუბრა ზოგად პრობლემებზე, სოფლებში მისასვლელი, შიდა გზების, წყლის სისტემის და წყალანირების მიმართულებით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ბაჩანა მარკოიშვილმა და თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი მარკოიშვილმა სოფ. წმენდაურის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოზე გაამახვილეს ყურადღება, რაზეც მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ლევან შერაზადიშვილმა აღნიშნა, რომ აღნიშნული პროექტის გაგრძელება შესაძლებელი იქნება წყლის სისტემის რეაბილიტაციის დასრულების შემდგომ.

მუნიციპალიტეტის მერის დავით ლობჟანიძის განცხადებით პრიორიტეტულია მოხდეს ძველი საავადმყოფოს შენობის რეაბილიტაცია სადაც განთავსდება საკრებულო და მერია. ასევე ისაუბრა, რომ მნიშვნელოვანია რეაბილიტირებული გზების მოვლა-შენახვა და ყოველწლიურად სჭირდება ტექნიკური დათვალიერება, ხოლო ზამთრის სეზონისთვის აუცილებელია შესაბამისი ტექნიკის შეძენა, რადგან შპს-ს მფლობელობაში არსებული მძიმე ტექნიკა გაუმართავია.

მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ლევან შერაზადიშვილმა აღნიშნა, რომ ონის მუნიციპალიტეტი ერთ-ერთია სადაც სივრცის დაგეგმარების, ქალაქ ონისა და სოფელ ღების განაშენიანების გეგმების შემუშავება მიმდინარეობს და აზიის განვითარების ბანკი გამოყოფს დაფინანსებას აღნიშნული პროექტებისთვის. ასევე აღნიშნა, რომ რაიონის ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ჰესების განვითარება და ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის გაძლიერება.

მიღებული გადაწყვეტილებები:

სხდომის მონაწილეებმა ერთხმად აღნიშნეს ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების გადაჭრის მნიშვნელობა და საჭიროება. შესაბამის სამსახურებს დაევალათ თითოეული საკითხის შესწავლა და რეალური განხორციელების გეგმის შემუშავება.

კენჭის ყრის შედეგად ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით სამუშაო ჯგუფმა გადაწყვიტა:

ეთხოვოს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს მოწონებული დოკუმენტები წარდგენილი იქნას საბიუჯეტო პროცესის შესაბამისად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ სამუშაო ჯგუფის სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე:	_____	დავით ლობჟანიძე
თავმჯდომარის მოადგილე	_____	ლევან შერაზადიშვილი
სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი:	_____	თინათინ ბროლაშვილი

მდივანი: _____ ნინო მეტრეველი

სამუშაო ჯგუფის წევრი: _____ ვალერიან გობეჯიშვილი

_____ თეიმურაზ გრძელიშვილი

_____ გივი ბენდიანიშვილი

_____ მარინე მაისურაძე

_____ მანანა ჩაგელიშვილი

_____ დავით ჩიხრაძე

_____ მარიამი გობეჯიშვილი

_____ სოფიო გუგეშაშვილი

_____ ელენე ჩიკვილაძე

_____ ზაჩანა მარკოიშვილი

_____ პაატა მაისურაძე

_____ გიორგი მარკოიშვილი

_____ ვასილ მეტრეველი

_____ სერგო ლობჯანიძე

_____ ლევან ორდინიძე

_____ გიორგი მელაშვილი

_____ მამუკა ყავლაშვილი

_____ ვლადიმერ ბერელიძე

_____ პაატა ხარაიშვილი

_____ ზაზა ჭელიძე

_____ ნინო მეტრეველი

_____ ნაზიბროლა გავაშელიშვილი

_____ დალი რაზმაძე

_____ ქეთევან ხომასურიძე